საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 85
აპრილის 19, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 85
აპრილის 19, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ს.-პეტერბურგის კომპანი „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელე-ით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შესახებ საქონლისა შეძლევათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკ ში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108.
(120—ნ.—109).

რარმ. 49—9 ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 აპრილს, 1903 წელს.

** იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქმნება:

დაკლებულის ფასებით

მეორედ ახალი პიესა.

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქ. ბ—ლისა, გადმოკეთებული მეტერლინკის „მონნა-ვანნა“-დგან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ოტელო“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წევრთა წლიური კრება დანიშნულია 1903 წ. 20 **აპრილს, დილის 10 საათზე ს. კუხში. განსახილველი საგნები:**

1, განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა.

2, სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3, შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა.

4, გამგეობის მოხსენება მომავალი წლის ოპერაციის შესახებ.

5, სესხის აღების ნებართვა.

6, დამტკიცება მომავალის წლის ხარჯთაღრიცხვისა.

7, არჩევა ერთის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა.

ამხანაგობის გამგეობა: { თავმჯდომარე პ. მდივანი.
წევრი ერ. კიწმარაშვილი.
გამგე ნ. წერეთელი.
(4—ნ—4)

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღარიბ მოსწავლეთა დახმარებისათვის აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წლის 19 მაისს, ორშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია:

1. ანგარიში საზოგადოების 1902 წლის მოქმედებისა და მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ.

2. სავარაუდო შემოსავალ გასავლის აღრიცხვა 1903 წ.

3. მოხსენება საზოგადოების ახალის შენობის აგების შესახებ ვერაზე და ამ საქმისთვის შემოწირულება.

4. მოხსენება ქალთა სკოლის გახსნის შესახებ.

5. მიმდინარე და სხვა-და-სხვა საქმეები.

6. არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

შაბათს, აპრილის 19, დიდი წარმოდგენაა დანიშნული. სხვათა შორის, იქნება 2 კავკასიური ჭიდაობა. 1-ლი, **კულა გლდანელი** იჭიდავებს გამოჩენილ მოჭიდავესთან **რომოსთან** და 2-რე, **გიორგი ოდიშვილი** (ჯიბგირი) იჭიდავებს თელაველ მოჭიდავესთან



ნასყიდ თანდილაშვილთან. დამძლევთა ჯილდო პირველს—100 მანეთია და მეორისა 20 მანეთი. ჭიდაობა იქნება მეორე განყოფილებაში.

სათავად-აზნაურო თეატრში

19 აპრილს 1903 წ. გაიმართება ტფილისში პირველად ახალი, **არა-ჩვეულებრივი-სათვალთმაქცო საღამო**

კაცის ქალად გარდაქმნა

ერთად-ერთი ფრანგი პრესტიდიჟიტატორი ქ. მარსელიდგან

როზერტ სიმენსი

და ბერძენი გულთმისანი ქალი **მაგდალინა ანგელიდის ასული.**

გამართავენ მხოლოდ 2 ფანტასტიურ საღამოს ტფილისში. დაწვრილებითი პროგრამა გამოცხადებულია აფიშებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
(3—98—3).

სახალხო წარმოდგენა № 18

ტფ. სიფხიზ. საზ.—ავლაბრის განყოფილება
(ნ. ნ. მურაშკოს თეატრი)
კვირას, 20 აპრილს,

სადღესასწაულო წარმოდგენა

ქართულის სცენის მოყვარულთაგან

გიგო გელიკურაშვილის

ოცის წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად

წარმოდგენილი იქმნება

I

მუნჯი

კომ. 2 მოქ. გ. ერისთავისა.

II

გაცრუებული იმედი

მეორე მოქმედება, აზიანისა.

III

მათიკო

მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.

IV

აპოთეოზი

მონაწილეობენ: ქქ. აფხაზიშვილი, გორელი, ქართველიშვილი, ჟურული; ბბ. ბადაშვილი, გაბოშვილი, გელიკურაშვილი, იმედაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, რევაზიანი, სალაყაია, ფავლენიშვილი, ყალაბეგაშვილი და სხ.

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო **მუსიკა, დუდუკი** და ქართული მომღერალთა გუნდი იმღერებს.

თეატრთან არის საჯირო ბაღი და ბუფეტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგისთვის მზადდება „დამნაშავეა“, დრამა ფოსისა,

რეჟისორი **ვ. იმედაშვილი**

გაიხსნა

დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში.
(7—ნ.—5)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში. **ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საშ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დასტაქრობა და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარეკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადასტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი

✦ კვირას, 20 აპრილს, ს. გომში მოხდება საზოგადო კრება გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობისა. განსახილველია, სხვათა შორის, წარსულის წლის ანგარიში. ამ ანგარიშიდგან სჩანს, რომ საზოგადოებას 1902 წლის განმავლობაში დაუტრიალებია 66,424 მ. 98 კ. საზოგადოების საქმეები ისე კარგად წასულა, რომ შარშან წინდელის ზარალის შემდეგ, საანგარიშო წელს დარჩენია 546 მ. 81 კ. წმინდა მოგება.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნი— Межевые раздѣлы въ Закавказскомъ краѣ —практическое руководство для владѣльцевъ — მამულების დაყოფა საერთო მფლობელთა შორის ამიერ კავკასიაში, შედგენილი ტფ. სამოს. პალატის წევრის დოლგოვის მიერ.

✦ მოგვივიდა ფულის ანგარიში ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა 1902 წლის განმავლობაში. ამხანაგობას ამ წლის განმავლობაში ჰქონია შემოსავალი 346,719 მან. 48 კაპ. ხარჯი ჰქონია 354,519 მ. 33 კ. მართალია საანგარიშო წელს ამხანაგობას მოუგია 4296 მ. 31 კ., სამაგიეროდ შარშან წინ ჰქონია ზარალი 4931 მ. 62 კ., რომელიც საანგარიშო წელს გადაუხდია. ამხანაგობას ადმინისტრაციაზედ დაუხარჯავს 4916 მ. 27 კ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ 16 აპრილს, ბაქოს გუბერნიის საფოსტო-ტელეგრაფების განყოფილებების სარევიზიოდ წასულა საფოსტო-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ბ. კოჟინი.

✦ 17 აპრილს, მჭედელთა ამქარს კრება ჰქონდა. კრებაზედ ერთ ხმად ამოირჩიეს უსტაბაშად მიხ. პოტაპოვი და იმის თანაშემწედ სამოდუროვი და იაკობ პოტაპოვი.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეთათვის ის 12,000 მ., რომელიც გადადებული იყო, რომ დარიგებულიყო ჯილდოთ, უკვე დაურიგებიათ ზოგიერთათვის. ფული ამ ჟამად მიუღიათ ოლქის გამგეობის და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეთ, ხოლო ოლქის სხვა დაწესებულებათათვის დანარჩენი ფული ეხლა ნაწილდება.

✦ წელს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში კურს დაამთავრებს 9 მოწაფე, რომელნიც ატესტატების მისაღებად დაიჭერენ უკანასკნელ ეგზემენებს გიმნაზიებში. ამათში 2 მოწაფე დაიჭერს ეგზამენს პირველ გიმნაზიაში, 4—მეორეში და 3—მესამეში.

✦ 17—18 აპრილს, სათავად-აზნაურო

სკოლის პირველი და მეორე კლასის მოწაფენი მასწავლებელ ს. ლ. იაშვილსა და ამღზრდელს ი. ნიჟარაძეს წაუყვანიათ ბოტანიკურ ბაღში, ამ ბაღის დასათვალიერებლად.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს ამავე სასწავლებლის მასწავლებელი ბ. სტანიშევსკი.

◆ 12 აპრილს საოსტატო ინსტიტუტში, ინსტიტუტის დირექტორის თავსმჯდომარეობით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მასწავლებელთა კომისიის კრება მოხდა. კომისიამ განიხილა ის საგანი, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალში მასწავლებელთა ყოველ წლიური კრება. კომისიაში მონაწილეობას იღებდნენ: ყველა მასწავლებლები ინსტიტუტისა, დირექტორი და ინსპექტორი ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისა, ინსპექტორები სამოქალაქო სასწავლებლისა და სხვ., სულ ჩვიდმეტი კაცი. კრებაზედ იყო ლაპარაკი აგრეთვე იმაზედ, რომ საერთოდ მასწავლებლებს გაუჭირდებათ დაესწრონ ხოლმე ყოველ-წლიურ კრებებს, ქალაქში ცხოვრების მეტის-მეტი სიძვირისა გამო. კომისიამ გადასწყვიტა, ყოველ წლიურ კრებების წევრთ დაეთმობა ხოლმე შემდეგში ინსტიტუტის შენობა კრებების დროს, ამიტომ წელს საოსტატო ინსტიტუტში სწავლება გასტანს მხოლოდ თიბათვის პირველამდე. ამასთანავე კომისიამ გადასწყვიტა, რათა ყველა მასწავლებლებს შეეძლოთ მიიღონ მონაწილეობა წლიურ კრებაზედ, სწავლა ყველა სასწავლებლებში გათავებულ უნდა იყოს მაისის ბოლომდე. კომისიამ ამოირჩია ექვსი კაცი, რომლებიც გასინჯავენ და შეამოწმებენ ხოლმე წლიურ კრებებზედ წასაკითხავ რეფერატებს.

◆ დღეს მოწვეულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა, საბჭოს ფინანსიური კომისიისა და სათივეების მოსაწყობ ეზოების კომისიისა, ა. ს. ბაბოვის მოხსენების გასასინჯავად.

◆ მაისში ქალაქის თავი ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი წავა პეტერბურგს, ქალაქის საქმეთა გამო, ხოლო დაბრუნდება უკან თიბათვეში.

◆ ამიერ რკინის გზის გამგეობას ნება დაურთავს აგარაკ „მარტაზის“ მახლობლად (სადგურ მცხეთიდან სამ ვერსს ნახევარია), გაიმართოს ბაქანი.

◆ ამ დღეებში ტფილისის მეპურეთა ამქრის უსტაბაშის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილებათა პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად გუბერნატორს. ამ პროექტის ძალით, ყველა პურისმცხობელს უნდა უეჭველად ჰქონდეთ ატესტატი, და აგრედვე პირობითი ხელ-შეკრულება თავის შეგირდებთან. აკრძალულია გამომცხვარი პურის გაყიდვა, და გამართვა სხვა პურის საცხობისა იქ, სადაც მახლობლად პურის საცხობი არის და აგრედვე აკრძალულია გაღება პურის საცხობებისა პატარა შენობაში. ამქართა გამგეობამ სამი საპატიო ატესტატის მქონე წევრი ამოირჩია, რომელთაც უნდა თვალ-ყური ადევნონ, როგორც პურის საცხობ ადგილებს, ისრე ფქვილისა და ხორბლის საწყობებს შიგ ქალაქში და ვაგზალზედ. წევრებს შეუძლიანთ ამასთანავე დაადგინონ ოქმი და წარუდგინონ გამგეობას, თუ ნახეს, რომ რამე წესიერება არის დარღვეული.

◆ როგორც გავიგეთ, ფინანსთა მინისტრს დაუმტკიცებია კონცესია გასამართავად ერევანში წყლის მილის და ტრამვაისა.

◆ საავადმყოფო განყოფილებამ მისცა განკარგულება ტფილისის გუბერნიის სოფლებისა და მაზრების ექიმებს, რომ იმათ მეტი ყურადღება მიაქციონ უფასოდ ყვავილის აცრის საქმეს.

◆ ნავთის გასაყვან მილით ხაშურიდამ ბათუმში მისულა 5,635,967 ფუთი ნავთი, ხოლო რკინის გზით-კი ბაქოდამ გაუტანიათ 826,819 ფუთი.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორას მიუმართავს ადგილობრივი რედაკციებისათვის, რომ რედაქციებმა ქუთაისში გასაგზავნი გაზეთები ფოსტაში მიიტანონ ხოლმე უეჭველად დილის ხუთ საათამდე, რადგან ახალი საზაფხულო რკინის გზაზედ მისვლა-მოსვლის წესრიგი ხელს არ უწყობს, რომ გაიგზავნოს გაზეთი შემდეგ ხუთი საათისა.

◆ როგორც გავიგეთ, სოფელ მჭადის ჯვარში, ამას წინად, წვრილი ხორხოშელა მოსულა და ალაგ-ალაგ ვაზი წაუხდენია.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნ ზავადსკის მიუცია განკარგულება გიმნაზიის დირექტორებისათვის, რომ ყველა გიმნაზიის მოწაფეები შეაერთონ ერთად, ამოირჩიონ საგანგებოდ დანიშნული ადგილი და პირველ მაის გასართობად წაიყვანონ.

◆ როგორც შევიტყეთ სარწმუნო წყაროებიდგან, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის საბჭოს გადაწყვეტილობით, დაიხურა სამეურნეო ფრინველთა გამშენებელი საზოგადოება. სამაგიეროდ სამრევლო სკოლების ინსპექტორის კ. დ. მაჭავარიანის თაოსნობით, საზოგადოება განაგრძობს არსებობას და მოქმედებას ქუთაისშივე. რადგან საზოგადოების საბჭოს წევრების სამსახურიც გათავდა, ამ დღეებში მოხდება საზოგადო. კრება საბჭოს წევრების ამოსარჩევად და პროგრამის შესადგენად კავკასიის სამეურნეო ფრინველთა გამოფენისათვის, რომელიც საზოგადოებას სურდა გაემართნა მომავალ 1904 წ.

ბ-ნი პ. თვალჭრელიძე (ცახელი) უთმობს საზოგადოებას თავის მამულიდგან რამდენსამე ქცევა მიწას და ფრინველებისათვის საზრდოს უსასყიდლოდ, რათა საზოგადოებამ გამართოს საფრინველო. იმედია, საზოგადოება ისარგებლებს ამ შემთხვევით და მიაწყობს რიგიანს საფრინველოს, გააშენებს იქ საუკეთესო ჯიშის ფრინველებს ჩვენს ხალხში გასავრცელებლად.

◆ სოხუმის ოლქის უფროსის ვ. კ. პროგულბიცკის თაოსნობით და ოჩემჩირის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველის ბ. გ. ხორავას მეცადინეობით, ოჩამჩირეში არსდება სამურზაყანო-კოდორის ფრინველთა გამშენებელი საზოგადოება. ბ-ნს ხორავას უკვე მოუმზადებია საფრინველო; სასწავლებელს თუთხმეტ დესეტინამდე ადგილი ჰქონია.

◆ ოზურგეთში და ქუთაისის მაზრებში ზოგიერთნი თავად-აზნაურნი წელს თითონ აპირობენ მიწის შემუშავებას. შრომის გასაადვილებლად ისინი ჰფიქრობენ ბ-ნის ს. პ. ფეიქაროვისაგან შეიძინონ სამეურნეო იარაღები. მისაბაძავი მაგალითია, პირადი მუშაობა, სამეურნეო იარაღები და სამეურნეო ცოდნა—დღეს მხოლოდ ეს იხსნის ჩვენს თავად-აზნაურობას.

◆ იმ კომისიამ, რომელსაც ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებისაგან მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა სხვა-და-სხვა სასწავლებლების ტიპები, რომელიც უნდა დაარსდეს უმაღლესად ნაბოძების ოცი ათასის მანეთით, უკვე გაათავა მინდობილება. ვრცლად შემუშავებულია ორნაირი სასწავლებლების ტიპი: რეალურ სასწავლებლებისა და ოთხის სამეურნეო სასწავლებლებისა რაჭა-ლეჩხუმისა, ქუთაის-შორაპნის-სამეგრელოსი და გურიისა. ეხლა თავად-აზნაურობაზედ არის დამოკიდებული, რომელს სასწავლებელს გამოირჩევს, რომელი უფრო აუცილებლად საჭიროა ჩვენს გაჭირვებულს მატერიალურად დაცემულს მდგომარეობაში. კომისიის პროექტში რამდენიმე სიტყვა საქალებო სამეურნეო და საოჯახო სასწავლებელზედაც არის მოხსენებული.

მოხსენება.

წარდგენილი დავით ნიკოზ. ბაქრაძისაგან 25 თებერვალს 1903 წ. ქუთაისის გუბერნიის კომიტეტში, რომელიც იყო შემდგარი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად.

ჭიათურის ვიწრო-კვლიანი რკინის გზა თითქმის ერთიანად გაყვანილია იმ ადგილებზე, რომელიც უფასოდ დაეთმოთ პატრონებისგან და იმ ძველ საურმე გზაზე, რომელიც იყო გაკეთებული ადგილობრივ მცხოვრებთა ხელით და რომელზედაც წინად ურმებით დაჰქონდათ მარგანეცი რკინის გზის პირველ სადგურამდე.

ამ გზის სიგრძე არის 38 ვერსი.

ასე პატარა მანძილზე თავდაპირველადვე დაადვეს 10 კაპეიკი ტარიფი, ანუ საზიდრ ფასი, ერთნაირად სუყველა სავაჭროსა და ბარგზე, რა გვარი ანუ რა თვისებისაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ეს უშველებელი ტარიფი ედვა, როგორც მთელს გზას, თავიდგან ბოლომდის, ისე მის მცირე სარბიელსაც, სადგურიდგან სადგურამდე.

ამ ანგარიშით, ზოგიერთს ალაგას $1^1/_4$ კაპეიკი ჰხდებოდა ერთის ფუთის ერთს ვერსზე გადამტანს.

ამიტომაც ჭიათურაში დ საზოგადოდ მთელს შორაპნის მაზრის ზემო ნაწილში ამ რკინის გზით თითქმის აღარაფერი შედიოდა და, რადგან საუკეთესო საურმე გზა მოსპობილი იყო, ჭიათურაში ყოველისფერი საშინლად გაძვირდა და ცხოვრება გაჭირდა.

ეს გარემოება მეტის მეტად მავნებელი დარჩა მარგანეცის ვაჭრობისათვის და შემაწუხებელი, განსაკუთრებით, მუშა ხალხისათვის და მუშა საქონლისათვის.

მარგანეცის მწარმოებლებმა და მათთან ხამლხმაც ბევრჯერ მიჰმართეს მთავრობას სალხოვარით ტარიფის შემცირებისათვის.

ამ თხოვნებს გულ მოდგინედ დაუჭირეს მხარი ქუთაისის გუბერნატორებმა, კავკასიის მთავარ მმართებლებმა, სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა და თვით მ. ი. უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ, მაგრამ ყველა სათხოვარმა უქმად ჩაიარა.

სათხოვრის უარს, პირად საფერებლად, ამყარებდენ იმ მოსაზრებაზე, რომ ტარიფის დაკლება სასარგებლო იქნება მხოლოდ ექსპორტერებისათვის ანუ უცხო ქვეყნის ვაჭრებისათვის და არა მარგანეცის პატრონებისა და მწარმოებლებისათვისაო, რადგანაც ექსპორტერები მაშინვე დაუკლებენ მარგანეცს ფასს იმ ზომამდე, რამდენადაც ტარიფი შემცირდებაო.

ნამდვილი, მაგრამ უჩინარი, მიზეზი კი ის იყო, რომ ფინასთა სამინისტროს ეშინოდა, ხაზინას შემოსავალი არ მოაკლდესო.

ეს მოსაზრებაც და ზემორე მოხსენებულიც ორივე შემცდარი გამოდგა, როგორც ნაყოფიწმინდა თეორიულის მჯელობისა, რომელიც არ არის შემოწმებული გამოცდილებით და ცხოვრებისაგან შუქ-მიყენებული. აი, ამის მაგალითი: როგორც კი სამი კაპეიკი დაუკლეს ტარიფს, 1898 წლის იანვარში, მარგანეცის ვაჭრობამაც მაშინვე იმატა თან-და-თან.

1897 წელს გაზიდეს 10 მილიონი ფუთი. 1900 წელს-კი $30^1/_2$ მილიონი. სამს წელიწადს ერთი სამად იმატა გაზიდვის რაოდენობამ. ამისდაგვარად ხაზინის შემოსავალმაც იმატა: 1897 წ. 1,119,720 მანეთი იყო. 1900 წ. 2,289,459 მ. გარდა ამისა მარგანეცის ფასმაც შესამჩნევად აიწია. 1897 წ. $9^1/_2$ იყო და 1900 წ, ავიდა 12 და 13 პენსამდე.

1901 და 1902 წლებში მარგანეცის ზიდვა და მასთან ხაზინის შემოსავალიც უფრო გაძლიერდა, მაგრამ მისი ფასი-კი ნელ-ნელა დაეცა. ახლა არი $8^1/_2$ პენსი, ე. ი. ჩვენთვის ზარალი მოაქვს.

ამის მიზეზია: ერთის მხრივ მეტალურგიის კრიზისი საზოგადოდ ყველგან და მეორეს მხრივ კონკურენცია სხვა-და-სხვა ქვეყნებისა, სადაც-კი მარგანეცის მადნებია და საიდგანაც მისი ზიდვა შეუდარებლად უფრო იაფადა ჯდება, ვიდრე ჩვენში.

ამის გამო ხელმეორედ იშუამდგომლეს ტარიფის დაკლებისათვის, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ უარი სთქვა.

უარის მიზეზი ახლა-კი ნამდვილი გამოსთქვეს, რადგან მარგანეცის ზიდვა ჭიათურის გზაზე თანდათან მატულობს, სჩანს, რომ ახლანდელი ტარიფი საშიში არ ყოფილაო; ამიტომაც, ხაზინის შემოსავლის შესამცირებლად იმას არასფერი არ უნდა მოაკლდესო.

სამინისტრომ მიიღო მხედველობაში მარტო ისა, თუ რამდენს მარგანეცსა ვყიდით გარშე მოუვლელ გაჭირვებით იძულებულნი და არა ისა, თუ რა ფასად ვყიდით და შეგვიძლიან თუ არა ამ ვაჭრობის ატანა და განგრძობა. მარგანეცის მწარმოებლების ინტერესი მსხვერპლად შესწირა ხაზინის ინტერესს, მაგრამ თუ ასე წავიდა საქმე, ჩვენი მარგანეცი ნელნელა და აუცილებლად განდევნილ იქნება საქვეყნო ბაზრიდგან და ეს გარემოება გამოიწვევს მის ვაჭრობის ლიკვიდაციას, ანუ მოსპობასა. ამითი, რასაკვირველია, ხაზინის შემოსავალიც სულ შემცირდება და კიდეც მოისპობა.

დღეს ძლივს რჩება $^1/_5$ და $^1/_8$ კოპეიკისა თვითო ფუთზე, რომელიც გროვდება და იყიდება ყოველისავე ღონისძიების ხმარებით, მრუდესა და სწორის გზის ერთი მეორისგან განურჩევლად; რასაკვირველია, იმათ გარდა, ვისაც ბედი ეწევა ხოლმე შემთხვევით, ანუ ვისთვისაც ბუნებას დაუნათლებია იმისთანა ხერხი და ნიჭი, რომ იგი არა რაისაგან ჰქმნის „რაიმესა“ და „არასფერზე“ მოსავალსა იმკის.

მეორეს მხრით რამდენიმე ათასი მუშა ხალხი დარჩება უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ.

7 და 8 კაპეიკის გადახდევინება ერთის ფუთის სავაჭროს გადასატანად მცირე მანძილზე იქ, სადაც მის პატრონს ხშირად ერთი ბოსტანიც აღარა რჩება, დიდი უსამართლობა არის და მგონია ანგარიშიანობაც არ უნდა იყოს.

ჭიათურის რკინის გზის გასაყვანად ხაზინამ დახარჯა ერთს მილიონზედ ცოტა მეტი და ეს ხარჯი წელიწად ნახევარში აიღო. ახლა-კი წმინდა შემოსავალი რჩება 2,000,000 მეტი. ერთის სიტყვით, თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ რკინის გზას მიაქვს ჩვენგან 200% წელიწადში, ყველა სხვა ხარჯებს გარდა.

თუ მარგანეცის მაღალ ტარიფისათვის შეიძლება კიდევ რაიმე გასამართლებელი მიზეზი მოიყვანოს კაცმა, თუმცაღა, როგორც ვხედავთ, ეს ძალიან ძნელია, რით უნდა აიხსნას უფრო დიდი ტარიფი სხვა გადასატან-გადმოსატან სავაჭროზედ, სწორედ აღარ გვესმის...

1898 წლის იანვრამდინ ეს ტარიფი იყო 10 კაპეიკი, იქითაც და აქეთაც, მაშინ-კი განსაზღვრეს ორნაირად: ის სავაჭრო, ანუ ბარგი, რომელიც მიდის ჭიათურისკენ, იხდის 2 და 4 კაპეიკს, ორის კატეგორიის დაგვარ. ის-კი, რომელიც ჭიათურიდგან ქვევით მოდის, იხდის ისევ 10 კაპეიკს, რა გვარისა და რა ფასისაც უნდა იყოს, მძიმე იქნება თუ მჩატე, როგორც მაგალითად, რკინა, ქვა, აბრეშუმი და ღინღლი. ამასთანავე როგორც მთელს გზაზე, თავიდგან ბოლომდინ, ისე თვითოეულ სარბიელზე, ანუ სადგურიდგან სადგურამდე.

ამნაირად, ხაზინა, რომელმაც მუქთად წაიღო ჩვენი ადგილები და წაგვიხდინა ჩვენი საკუთარი საურმე გზა, ათს კაპეიკს გვახდევინებს თვითო ფუთის რიყის ქვისა, ანუ მუხის შეშის გადასატანად 8 ვერსის მანძილზე ჭიათურიდგან სალიეთამდე, თუ კი ვისმე მოუვა ფიქრად რკინის გზით მათი გადატანა.

ამიტომ ყველა უთვალავი სიმდიდრე ზემო იმერეთისა, სხვათა შორის, ტყე და ძვირფასი მადნეულობა, ხელუხლებლად რჩება. რა სარგებლობას ჰპოებს ამ ჩვენის დაქცევით ხაზინა, ესეც ვერ გაგვიგია.

ამიტომ, ვსთხოვ კომიტეტს, იშუამდგომლოს, რომ ჭიათურის გზაზე ტარიფი დაკლებულ იქმნას ყოველსავე საქონელზე იმ ნორმამდე, რომელიც არის დაწესებული ამიერკავკასიის მთავარ რკინის გზაზე.

ჩვენებური ამბები

ზესტაფონი (ყვირილა). აპრილის 12-ს მაზრის სამმართველოს შენობაში ქ. ან. ზედგინიძის (სადგურის უფროსის მეუღლე) თაოსნობით გაიმართა საცეკვაო საღამო დ. ყვირილის სამკითხველოს სასარგებლოდ. საკონცერტო განყოფილებას განაგებდა ბ. ს. ჭინჭველაშვილი, რომლის ლოტბარობით ხელოვნურად შეასრულეს რამდენიმე სიმღერა. საღამოს ხალხიც საკმაოდ დაესწრო.

სწორედ დიდის მადლობის ღირსია ქ. ან. ზედგინიძისა, რომლის თაოსნობითაც ყოველ წლობით, ხან ორჯერაც, იმართება ხოლმე საღამოები ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ. მეტად გულდაწყვეტილები ვრჩებით ყველა ყვირილელები, რადგან ბ. ზედგინიძე, როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ყვირილიდგან გადაჰყავთ. ვუსურვებ ჩვენს ბეჩავს სამკითხველოს და ადგილობრივს საზოგადოებას, რომ მრავალი გამოსჩენოდეს ასეთი გულშემატკივარი და უანგარო პატრონი, რომელიც ნამდვილ დედობას უწევდე ჩვენს

ფელეტონი

იმპერატორის ნიკოლოოზ 1-ს მოგზაურობა საქართველოში.

რუსულ ჟურნალ „Историческій Вѣстникъ“-ში ამ წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილია გრაფის ა. ქ. ბენკენდორფის მემუარები ანუ მოგონებანი შემდეგის სათაურით: **изъ записокъ графа А. О. Бенкендорфа**, რომელშიც აღწერილია იმპერატორის ნიკოლოოზ პირველის მოგზაურობა საქართველოში 1837 წ. ეს აღწერა ჩვენ ღირ-შესანიშნავ ისტორიულ მასალად ვსცანით და ქართველ მკითხველ საზოგადოებას წარუდგენთ თარგმანს ამ მოგზაურობისა, რომელიც იმპერატორს უამბია გრაფ ბენკენდორფისათვის თანადასწრებით დიდის მთავრის მემკვიდრის,—შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე განმათავისუფლებელის და სამხედრო მინისტრის, გრ. ჩერნიშოვისა ორის დღის განმავლობაში 29 და 30 ოკტომბრეს ბენკენდორფს ეს მისი ნაამბობი აღუწერია და წარუდგენია შესასწორებლად თვით იმპერატორისათვის, რომელსაც ფრანგულად, —ნიკოლოოზ პავლეს ძეს უყვარდა ფრანგულად წერა,—აქა იქ შენიშვნები ზედ მიუწერია. — ეს პირველი მობრძანება იყო რუსეთის იმპერატორისა საქართველოში შემდეგ იმის ნებაყოფლობით შეერთებისა ძლიერ რუსეთთან; ჩვენ აქ სათვალავში არ ვაგდებთ იმპერატორ პეტრე დიდის მოკლე ხნით დარუბანდში ყოფნას.

იმპერატორი ნიკოლოოზ I დიდად მოწყალე და კეთილ განწყობილი იყო არამც თუ მარტო ქართველებისადმი, არამედ თვით ველურ მთიულებისადმი. ეს სჩანს ინსტრუქციის სიტყვებიდან, რომელიც მან დაუტოვა გენ. ვენიამინოვს, მთიულების უფროსს: „რუსეთის ინტერესებისათვის საჭიროა, რომ ეცადოს მთიულეთი ალერსით მოინადიროს და შეაკავშიროს ისინი რუსეთის სახელმწიფოს. ამისათვის ეს ველური ერი უნდა შეაჩვიოს წესიერებას, კანონებსა და განათლებას. ხოლო მუდმივი ომი მათთან და ბრძოლა უფრო გვაშორებს მათ და უფრო აძლიერებს ამერში ომის სურვილს და სისხლის ღვრას, რომელიც უიმისოდაც უყვართ. საჭიროა დაწესდეს ხსვა და სხვა ადგილას სკოლები მთიულების შვილებისათვის“. ხოლო, რომ იმპერატორი ნიკოლოზი მუდამ კმთილ განწყობილი იყო ქართველებისადმი, ცხადად სჩანს, როგორც მის ალტაცებულ აღწერილობიდან ტფილისში დახვედრისა, აგრედვე მუდმივ მის მზრუნველობიდან, რომ გაევრცელებინა სწავლა ქართველ-მოზარდ თაობაში, და სხვა მრავალ ფაქტებიდანაც, სხვათა შორის აქ უნდა მოვიხსენიოთ, როგორის სულგრძელობით მოეპყრა სხვა და სხვა „хоть я буду“ ების 1832 წ. შეთქმულებას და შემდეგში სრულიადაც აპატია მათ დანაშაულობა. 1848 წ. რუსეთის ყველა მაღალ სასწავლებლებში მან კავკასიის სტიპენდიები დანიშნა ახლად-დაარსებულ აღმოსავლეთის ფაკულტეტში განაწესა ქართული და სომხური ენის კათედრები და თვით სამეცნიერო აკადემიაში ქართულ სიტყვიერების და ისტორიის შესასწავლად მიუმატა ერთი წევრის ადგილი, ხოლო ყველა ჩვენს სტიპენდიანტს დაავალა ესწავლათ ქართული ენა—ქართველ პროფესორის ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ, ეს წესი შემდეგ, ესრედ წოდებულ ტოლსტოის სისტემის გაბატონების დროს, —მოისპო (იხ. „Грамоты и другіе историческіе документы, т. I. подъ редак. Цагарели და ამ წიგნის გარჩევა „მოამბეში“ 1894 წ.) მანვე დაარსა ტფილისსა და ქუთაისში გიმნაზიები და დააწესა სამაზრო სასწავლებლები და დაიწყო კორპუსებში ქართველ თავად-აზნაურების შვილების გზავნა დასასრულ, თვით კავკასიის ნამესტნიკათ დანიშვნა თ. მიხ. ვორონცოვისა, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო კაცთა შორის მაშინ ტოლი არა ჰყავდა, ამტკიცებს ჩვენადმი მოწყალედ მზრუნველობას.

გრაფი ა. ქ. ბენკენდორფი,—რომელსაც იმპერატორის ნიკოლოოზ I-ს ზეპირად ნაამბობი მემუარებში ჩაურთავს,—ტომით გერმანელი იყო, რიგაში დაბადებული. იმპერატორს ნიკოლოოზს ძალიან უყვარდა და დანიშნა 1826 წ. ჟანდარმების შეფად, იმპერატორის უმთავრესის კანტორის და მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მე-III განყოფილების უფროსად (Энцикл. слов. Брокгауза, т. III).

ბროსსე სწერს, რომ ერევნის აღებაში გენ. ბენკენდორფიც ერიაო, მაგრამ, ჩვენის აზრით, ის ალექსანდრეს ძმა, კონსტანტინე უნდა იყოს (ibidem). „Былое и думы“-ს ავტორი ხშირად იხსენიებს იმას. იმპერატორს სურდა თან წაეყვანა გრ. ა. ბენკენდორფი, მაგრამ გრაფი ავად გახდა. გრაფი დაღონებით ამბობს: „დიდათ ვწუხდი, რომ აღარ მომიხდა მის უდიდებულესობასთან საქართველოში ყოფნა, სადაც პირველად დავიწყე სამხედრო სამსახური. ვსწუხდი, რომ არ ვიახელი მეფე-რაინდს, რომელიც მხოლოდ თავის ძლევა-მოსილ მარჯვენით იცავს სამეფო ტახტებს და ერთა მშვიდობიანობასო“, —ხოლო ხელმწიფის დაბრუნების დროს გრაფი დახვდა მას მოსკოვს, სადაც „სასახლეში“ იმ დროს ძალზე შიშობდნენ ხელმწიფის შესახებ, რადგან იგი იყო კავკასიის იქით მხარეს და უნდა გარდმოევლო მთები, სადაც სახლობდნენ ჩვენდამი მტრად გარდაკიდებული მცხოვრებლები. მე კარგათ ვიცნობდი მთიულების ზნე-ჩვეულებას, ვიცოდი, როგორის კრძალვით იხსენიებდნენ ისინი რუსეთის ხელმწიფის სახელს,—რომელსაც არაოდეს არ აბრალებდნენ ბიროტ-მოქმედების ჩადენას და არც მის მოსამსახურეების სიმკაცრეს, არამედ თავისს მომავლის იმედს მარტო იმაზედ ამყარებდნენ. მუდამ ვამტკიცებ რომ იმპერატორის სიცოცხლე ამ ნახევრად ველურ ერთა შორის უფრო უშიშარ მდგომარეობაშია, ვინემც იქნებოდა ევროპის განათლებულ ქვეყნებში, სადაც დემაგოგიამ, ეს ნახევარი საუკუნეა, შეჰლახა პატივის ცემა გვირგვინოსნებისადმი. ჩემი წინასწარმეტყველება კიდევაც ასრულდა. 28 ოკტომბერს ხელმწიფე მშვიდობით მობრძანდა მოსკოვს“. აქ იმას, მემკვიდრეს და ჩერნიშოვს იმპერატორმა უამბო თავისი მიმოსვლა საქართველოში, „რომელიც ხელმწიფემ დალაგებით აგვიწერა და საოცარი მეხსიერებაც გამოიჩინა: არც ერთი წვრილმანი ამბავი არ დაჰვიწყებოდა. როგორც-კი დავბრუნდი სასახლიდან, მოგვითხრობს ბენკენდორფი, იმ წამსვე დავეშურე აღმეწერა მისი ნაამბობი. მე, რასაკვირველია, შემოკლებით აღვწერ შინაარსს ამ ნაამბობისას, რომელიც რვა საათს გაგრძელდა.

გრ. ბენკენდორფის მემუარებიდამ ჩვენ ვსთარგმნეთ მხოლოდ ის, რაც შეეხებოდა ჩვენ, მხარეს და, რომ არ შეგვეწყვიტა შუა ადგილას ეს აღწერა, მთელი მოგზაურობა ამიერ-კავკასიაში გადმოვთარგმნეთ. ბოდიშს ვიხდით თუ ამით გაზეთის მკითხველებისათვის ცოტა გაგრძელდა ეს ფრიად შესანიშნავი აღწერა იმპერატორის ნიკოლოოზ პავლეს ძის მოგზაურობისა. ჩვენი ლიტერატურა ერთობ ღარიბია ისტორიულ მასალებითა შემდეგ რუსეთთან შეერთებისა. შენიშვნები, გარდა ოთხისა, იმპერატორის ნიკოლოოზის მიერ ფრანცულად მიწერისა, ჩვენ გვეკუთვნის.

სამკითხველოს მთელის ოთხის წლის განმავლობაში.

Vox.

ძველი სენაკი. სენაკის სააზნაურო სასწავლებლის მასწავლებელი, სპირიდონ ანდრიას ძე მატარაძე, ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების წარდგენით და სამიწად მომქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შუამდგომლობით, დაჯილდოვებულ იქმნა სტანისლავის ორდენით მეფუტკრეობის სწავლის გავრცელებისათვის ქუთაისის გუბერნიაში. ბ. მატარაძე ნამდვილი ფანატიკოსია მეფუტკრეობისა; დაწვრილებით ცოდნა ფუტკრის ცხოვრებისა და მისი მოვლა ნათლად გამოგვიხატა ბ-ნმა მატარაძემ მის მიერ შედგენილ შესანიშნავ კოლლექციაში, რომელიც ამშვენებდა მეფუტკრეობის განყოფილებას კავკასიის გამოფენისას; საუბედუროდ, ბევრმა ვერც-კი გაიგო მნიშვნელობა კოლლექციისა. ეხლა ბ. მატარაძე ფრინველთ მოვლა-მოშენებასა ჰკიდებს ხელს.

სხვათა შორის, შემდეგი შრომა მიუძღვის ბ. მატარაძეს მეფუტკრეობაში:

1) ის უსასყიდლოდ ასწავლიდა მეფუტკრეობას: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში (ხუთს წელიწადს), ახალსენაკის ნორმალურ სასწავლებელში (ხუთს წ.), სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (შვიდს წ.)

2) ლექციებს უკითხავდა უსასყიდლოდ ნიჟნი-ნოვგოროდში მასწავლებლებს შემიაკინის თხოვნით.

მადლობა გამოუცხადეს: კ. პ. იანოვსკიმ, შემიაკინმა და ყოვლად სამღვდელო გრიგოლ ეპისკოპოსმა

საგარეჯო (გარეთ-კახეთი). ჩვენში ავაზაკობას და კაცის კვლას ბოლო არ ელება; პირიქით, ბოროტ-მოქმედება დღითი-დღე ვრცელდება. ქურდ-ბაცაცებმა სოფელი გააჩანაგეს. საბრალო მცხოვრები, თვალითაც რომ ნახონ რაიმე სიავაზაკე, პირში ბურთი აქვთ ჩაჩრილი, ვერაფერს ამბობენ, რადგან შურისძიებისა ეშინიანთ. გასულ დიდმარხვის პირველ კვირებში აქ ქურდობა მოხდა, რომლის მთხრობლადაც, როგორც ხმა დადის, აქაურივე მცხოვრები მწყემსი იასონ როსტოიაშვილი გამოვიდა. გაიგეს, თუ არა, ეს ქურდებმა, ერთ დღეს შემოეხვივნენ როსტოიაშვილს, რაღაებიც მოუმიზეზეს, აუტეხეს ჩხუბი და ისე სცემეს, რომ საბრალო რამდენსამე კვირას ლოგინად ჩავარდა. როდესაც როსტოიაშვილმა კვლავ შეიძლო სიარული, გაიდო ჯოხი მხარზედ და გავიდა მინდვრად, დიდი ხნით ჟავდანებებულ ცხვრის მისახედავად, და იმავ ღამეს მიაპარნენ მძინარესა და თოფი დასცეს გულში.

ადგილობრივი პოლიცია არ გამოცხადდა იმ ადგილას, სადაც ბოროტ მოქმედება მოხდა. მოკლულის გვამი სოფელში მოიტანეს და თავის სახლში დაასვენეს; აქ მოვიდა გამომძიებელი და გვამი გასჭრეს. რამდენიმე საეჭვო კაცი დაიჭირეს და გამოძიება სწარმოებს. საბრალო როსტიაშვილის ოჯახი სიხარულით მოელოდა აღდგომასა და ამ დიდებულ დღეს კი მათს სახლში შეუბრალებელ ფინთიხით გულგანგმირული ესვენა მათი იმედისა და ნუგეშის გვამი.

ავაზაკობაში საგარეჯოს არც სხვა სოფლები ჩამოურჩება. აქაური მცხოვრები ივანე დუღაშვილი, ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურე, დიდშაბათ ღამეს ტფილისიდან სოფელში მომავალ ურემს გამოჰყოლოდა. ურემი ქალაქიდან პირველ ღამესვე გამოსულიყო. გამოსცდენოდა თუ არა რკინის გზის ლიანდაგს ნახევარ ვერსის მანძილზე, რამდენიმე შეიარაღებული კაცი გზაზე გადაჰლობებოდა და გაძარცვა მოენდომებინათ. დუღაშვილს წინააღმდეგობა გაეწია. ავაზაკებს კეტები დაეშინათ და საბრალოსთვის მკლავი მოეტეხნათ; წაურთმევიათ სააღდგომო ნავაჭრი, ქამარ-ხანჯალი, პალტო, სამი თუმანი ფული და ჩოხა, რომელიც ზედ ეცვა, მაგრამ მრავალ ხვეწნა-მუდარის შემდეგ ჩოხა ისევ დაებრუნებინათ. დუღაშვილს მოუთმენლად ელოდნენ შინ,—სააღდგომო ნავაჭრს მოიტანს და გაგვახარებსო; საბრალო ბავშვებს ელდა ეცათ, როდესაც სავსე ხურჯინით დატვირთულის მაგივრად, აღდგომა დილით დასახიჩრებული მამა მიუვიდათ. მაგრამ ეჰ! „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეთ, ავი რა საკვირველია?!“ ჩვენში ამისთანა საქმეები არ ახალია, ძველია.

მოსავალს ჯერ-ჯერობით კაი პირი უჩანს. ხეხილი აყვავდა და კარგ რთველს გვიქადის, თუ ამინდმაც ხელი შეუწყო.

ლაშარისჯვრელი.

რუსეთი

ოდესის რკინის გზის სადგური 8 აპრილს დილიდგან დაწყებული არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. ჯგუფ ჯგუფად მოეყარათ თავი სადგურზე ებრაელებს და უცდიდნენ მატარებელს. სამხრეთ დასავლეთის რკინის გზის მატარებლებმა კიშინევიდგან და მის ახლო-მახლო მდებარე სადგურებიდგან ჩამოიყვანა ბევრი ებრაელები, რომელთაც ძალა-უნებური მგზავრობა ერგოთ. ზოგიერთ მათგანს მოუსწრო და წამოეღო ცოტა რამ საჭირო ნივთები. ფერ-მკრთალი და აღელვებული იყვნენ ყველანი. ახლად ჩამოსულთ დაუხვდნენ ადგილობრივი მკვიდრი ებრაელები და შეიტყეს მათგან სამწუხარო თავ-დასხმის ამბები. ყველა პატარა სასტუმროები ოდესაში ავსებულია კიშინევიდგან გამოქცეულებით, რომელთაც მიატოვეს ღვთის ანაბარად თავიანთი ქონება, სახლკარი, ბინა და შეშინებულნი გადაიხვეწნენ ოდესაში.

— „ს.-პეტერბურგის ვედ“. იუწყება, რომ ჟურნალი „Русская мысль“-ი იყიდება. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელმა ლავროვმა, რომელმაც გადასწყვიტა გამოცემის მოსპობა, მიიღო რამოდენიმე წინადადება. მათ შორის მოსკოვის ჟურნალისტთა ჯგუფისაგანაც, რომელთაც სურთ «Русск. мысль»-ი გამოსცენ პაებით.

— დათხოვნილია სამსახურიდგან ვიტებსკის ქალაქის თავი ვოლკოვიჩი ქალაქის დებულების 149 და 150 მუხლის ძალით.

სამიწადმოქმედო სამინისტროში მინისტრის ამხანაგის ვლადმეისტერი სტევენის თავმჯდომარეობით, შესდგა საბჭო, რომელზედაც საუფლისწულო მამულების უმთავრესი გამგეობის, გზათა და ფინანსთა სამინისტროთა და მევენახეთა და ღვინის დამყენებელთა მონაწილეობით, შესდგა რჩევა, რათა გამოიკვლიონ რუსეთის მეღვინეობისა და ღვინის დაყენების საჭიროებანი და შეიმუშაონ უფრო საფუძვლიანი ზომები ამ სასოფლო მეურნეობის აღორძინების შემაფერხებელ მიზეზებისა.

ნ. ი. პიროგოვის სახსოვრად დაარსებულის ექიმთა საზოგადოების მმართველობა ზაფხულში გზავნის მალარიის—უჟმურიციების შესასწავლად ექსპედიციას კავკასიაში და ვორონეჟის გუბერნიაში.

სამიწად-მოქმედო სამინისტროში შესდგა საბჭო მინისტრის ამხანაგის ბ-ნ სტევენის თავმჯდომარეობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: საუფლისწულო მამულების მთავარ-გამგეობა, გზათა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელნი, ვენახების მესაკუთრენი და ღვინის დამყენებელნი. ამ საბჭოს განსახილველი საგანი—სხვა-და-სხვა საშუალებათა აღმოჩენაა რუსეთში მეღვინეობის გაუმჯობესობისათვის.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზ., „Pr. As.“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა.

„დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი კომბი ახლო მომავალში სამსახურს თავს ანებებს.

როგორც კი დასრულდება პალატთა კრება, ბ-ნი კომბი განაცხადებს,—რადგან ჩემი საქმე შევასრულე და ჯანმრთელობა ნებას არ მაძლევს კიდევ განვაგრძო მოღვაწეობა, სამსახურს თავს ვანებებო. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საპოლიტიკო წრეებში.

გაზ. „Matin“-ის პარიჟელი კორესპონდენტის სიტყვით, ამ უკანასკნელ დღეებში ხშირად იკრიბებიან თურმე სხვა და სხვა საპოლიტიკო მოღვაწესთან და კომბის მოადგილის შესახებ აქვთ ბჭობა-თათბირი. სხვათა შორის, განზრახვა აქვთ ისე მოაწყონ საქმე, რომ სოციალისტნი არ გაურიონ. მომავალ მინისტრ-პრეზიდენტად რუვიეს ასახელებენ. კაბინეტის წევრობას კისრულობს აგრეთვე ბერტო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მინისტრად დაინიშნება. ქერვილ რეაშს ზღვათა მინისტრობა სწადიან. იუსტიციის მინისტრად კრუპპის გაყვანას ჰფიქრობენ. ამას გარდა, ზოგი ეხლანდელი მინისტრიც დარჩება კაბინეტში.

მაროკკო. როგორც გაზეთები იუწყებოდა, მაროკკოს სულთანს ბრძანება გაუცია,—ყველა უცხოელთ თავი ანებონ ფეცსაო.

მაგრამ გაზ. „Temps“-ის, სიტყვით, ინგლისელებს განუცხადებიათ,—სანამ საფრანგეთის სამხედრო მისსია,—რომელსაც ვითომ იქ დარჩენა სწადიან,—არ წავა ფეციდგან, არც ჩვენ მოვიცვლით ფეხსაო.

ფრანგული გაზეთები-კი იუწყება,—საფრანგეთის სამხედრო მისსია მზადაა მოშორდეს იმ არე-მარეს და ამის შესახებ ნება-რთვაც-კი გამოსთხოვა თავის მთავრობასაო; მაგრამ ფეციდგან მხოლოდ მაშინ აიბარგება, როცა ყველა ინგლისელი მოხელენი და ყოფილი ინგლისის ოფიცერი—ყაიდი მაკ-ლინი გავლენ ფეციდგანაო.

ოსმალეთი. სტამბოლში მიუღიათ ცნობა იმ ექსპედიციის შესახებ, რომელსაც წინამძღვრობდა სკუტარის ვილაიეტის ჟანდარმთა უფროსი ესსად-ფაშა ჩრდილო ალბანიის კსელის მთიელთა დასამშვიდებლად. ფაშას მოხსენებიდგანა სჩანს, რომ არამც თუ ძველ-სერბიასა (კოსსოვის ვილაიეტში), სკუტარის ვილაიეტის მკვიდრ ალბანელთა შორისაც-კი დიდი მღელვარებააო. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ალბანელი კათოლიკებიც დიდ ურჩობას უწევენ ოსმალეთის მთავრობასაო.

ამ ექსპედიციას განზრახვა ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა მეამბოხეთა მოთავე მარკო ყული შეეპყრო, მაგრამ ესსად-ფაშამ ეს ვერ მოახერხა. თუმცა ყულის ციხე-სიმაგრე სრულიად გაანადგურეს, მაგრამ თვით წინამძღოლი არხეინად მიიმალა. მაშინ ფაშამ მოლაპარაკება გამართა სხვა-და სხვა ბაირაღტრებთან. რადგან ამ უკანასკნელთ უმეტეს ნაწილად თვით პორტასაგან ეძლევათ შემწეობა, და, გარდა ამისა, ცუდი განწყობილებაცა აქვთ ურთი-ერთ შორის, ესსად-ფაშამ ადვილად შესძლო მათი დათათბირება. რასაკვირველია, კათოლიკეთა სამღვდელოებამაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ შემთხვევაში ესსად-ფაშას, რომელმაც მათ სამაგიეროდ დიდი პატივი აღუთქვა. ამ გვარად კსელა დაწყნარდა, მაგრამ უსიერ მთებში შეხიზნულ სელიტას ტომსა და რამდენსამე სხვა სოფელს კი ჯერ არა ეშველა-რა. როდესაც ესსად-ფაშა რეშენს მივიდა, წინ წარუდგნენ და მიესალმნენ მატელი ურჩნი კაიმაკამნი ბეიცელლა და ჯემალ-ფაშა თავიანთ ამალით; ხოლო მირიდთა კაიმაკამმა მარკო-ჯიონიმ არ ინახულა ოსმალეთის მოხელე. ექსპედიციის მეცადინეობა იმით დამთავრდა, რომ 20—30 მდე ყაჩაღი შეიპყრო. მარკო-ყული-კი—ურჩ ალბანელთა წინამძღოლი, თავისუფლად დანავარდობს და ეხლა უფროც გაიგდო სახელი. მის „საქმეთ საგმიროთა“, ე. ი. ავაზაკობას—ქება-დიდებით ამკობენ თავის სიმღერებში ჩრდილო ალბანელნი.

იტალია. ახლახან გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნული ვიცე-ადმირალი მორენი წინადაც განაგებდა ამ სამინისტროს დროებით, პრინეტტის ავადმყოფობის დროს. მორენი სამხედრო მინისტრ პონცა დი-სანმარტონოსთან ერთად 1901 წ. სარაკკოს კაბინეტიდგან ცანარდელლისთან გადავიდა ზღვათა მინისტრად. სხვა ადგილები-კი სრულიად ახალმა კაცებმა დაიკავეს. იტალიის პალატაში მორენმა პირველად გასულ თებერვალს ილაპარაკა, როგორც იტალიის გარეშე პოლიტიკის წარმომადგენელმა, მაკედონიის საქმეთა შესახებ. როგორც გაზეთები იუწყება, ამავე საქმეებს პირველი ადგილი ექმნება დათმობილი მორენის პოლიტიკაში.

ავსტრია-უნგრეთი. აპრილის 22 ს (ახ. სტ.) უნდა მომხდარიყო ავსტრიის რეიხსრატის კრება. ჩეხები კარგა ხანია საბაჟო შეთანხმებას ობსტრუქციით ემუქრებიან, თუ მორავიაში ჩეხური უნივერსიტეტის დაარსების ნება არ მისცეს. მაგრამ ეს კერბერზე არაა დამოკიდებული, ვინაიდგან, არსებულ კანონთა ძალით, ახალ უნივერსიტეტის დასაარსებლად საჭიროა პარლამენტის თანხმობა და, მაშასადამე, ჩეხთა და გერმანელთა შეთანხმება. გერმანელნი წინააღმდეგნი არ არიან, რომ ჩეხური უნივერსიტეტი დაარსდეს პროსნიცსა, ან კრემზირში, მაგრამ არა ბრიუნნსა, ან ოლმიუცში, რადგან ეს ხელს შეუწყობს ჩეხთა პროპაგანდასაო. არც მთავრობაა წინააღმდეგი, თავის მხრითაც ხელი მოუმართოს ჩეხელთა კულტურულს მოთხოვნილებას, მაგრამ ისე-კი, რომ ამით გერმანელთა გავლენას ზიანი არ მიეცეს. ამგვარად ზემოხსენებულ საკითხის გადაწყვეტა თითქმის სავსებით ჩეხებზეა დამოკიდებული. ხოლო, რადგან საბაჟო შეთანხმება ყველა დასისათვის სასურველია და, ვგონებთ, ყველაზედ უფრო ბოჰემიის მკვიდრთათვის, ჩეხები კარგად ჩაუკვირდებიან საქმეს და ისე ადვილად აღარ გადასწყვეტენ ობსტრუქციის გამართვას.

მაკედონია. როგორც გაზ. „Mes. d' Ath.“-ი იუწყება, მაკედონელ ბერძენთა შესახებ, უუსამართლოეს დიპლომატიურ კრებულის, ლურჯ წიგნის, გამოქვეყნებას ისე გაუთამამებია ბერძნები, რომ მათ ინგლისისათვის მიუმართავთ და შეჰვედრებიან ხალხს, საზოგადოებათა პალატას და თვით მეფე ედუარდსაც: „ღვთის გულისათვის, დაგვიხსენით ამ სატანჯველისაგან, კომიტეტთაგან წაქეზებულ ავაზაკთა ჯუფთნი გვძარცავენ, გვხოცენ, შეურაცხყოფენ ჩვენს ცოლ-შვილსა და ცეცხლითა და მახვილით გვანადგურებენო“. ეს მოწოდება თითქმის ყველა ინგლისურ გაზეთს გადაუბეჭდია.

— პრიზრენიდან სწერენ ნოვოსადის „ზასტავა“-ს: „ალბანელთ ორჯელ მიაახდინეს ყრილობა და გადასწყვიტეს,—გამოუცხადონ ხონთქრის მიერ მესამედ გაგზავნილ მოციქულებს, რომ იგინი უარ ჰყოფენ რეფორმების შემოღებს“. ალბანელნი თავს შეურაცხყოფილად სთვლიან და გაიძახიან:

„ხონთქარმა გვილალატა, გაგვყიდა; მას სწადიან ჩვენი მიწა-წყალი გიაურებს მისცეს. ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ; შევებრძოლებით თუნდ მთელს ქვეყანას; უპირველესად აღვგვით დედამიწის ზურგიდან სერბთა სახსენებელს“-აო. ამ მუქარით სერბიელნი დიდად შეშინდნენ; მათ იარაღიც არ აბადიათ და, აბა რით გასცენ პასუხი, მძვინვარე ალბნელნი, რომ მეხივით თავს დაატყდნენ? დიდძალი ალბანელნი თავს იყრიან დრენიცასა და როგოზნაში; როგორც ეტყობათ, კოსოვოს ქალაქებს უპირებენ დაცემას. ოსმალთა ჯარებს დღითი-დღე ემატებათ.

პრიზრენში თავი მოიყარა 14 ბატალიონმა, მიტროვიცასა—8 და ფერიზოვიჩაში—16, თავიანთ ზარბაზნებით.

ჯარებმა-კი ბლომად მოიყარა თავი, მაგრამ ვინ იცის მათი სარდლები იმოქმედებენ თუ არა ისეთის სიმამაცით, როგორც მოიქცა საიდ-ბეი მიტროვიცის ბრძოლის დროს. აი, სწორედ ეს საკითხი არ ასვენებს ადგილობრივ მკვიდრთ.

სერბია გაზ. „ზასტავა“-ს ბელგრადელი კორესპონდენტი შემდეგს ცნობას იძლევა სერბიის შინაურ საქმეთა შესახებ:

„ალექსანდრე მეფემ იდღესასწაულა თავის მეფობის ათის წლის შესრულების იუბილეი. სწორედ ათი წელწადი გავიდა იმ დღიდგან, როცა ალექსანდრე მეფემ პირველად დაიწყო მთელი რიგი სახელმწიფო ცვლილებათა. ბედმა ისე მოაწყო საქმე, რომ ეს ათი წელიწადი, როგორც დაიწყო, ისევე დასრულდა. ზოგჯერ ბედის ახირებულობას ვერსად წაუვა კაცი.

ამ დღესასწაულს ისეთი აღტაცებით არ მიეგებნენ, როგორც მოსალოდნელი იყო. სისახლის კაპელლაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი (ალექსანდრე მეფე საკათედრო ტაძარში აღარ დაიარება, რადგან არა ჰსურს ტერაზიის მეიდანზედ გავლა, სადაც მისნი „საყვარელნი და ერთგულნი ქვეშევრდომნი“ იკრიბებიან).

საღამოთი გაიმართა სადღესასწაულო ნადიმი და მოწვეულ იქმნენ ცნობილნი ჯამილოკია პოლიტიკოსნი, რომელნიც ყოველს წუთს მზათ არიან ერთ ქელეხში სინიდისი-კი არა, თუნდ მთელი ქვეყანა გასცვალონ.

„აქ (ალუპკაში) [1] ჩემი მეუღლე ვორონცოვისას დარჩა. მე და ჩემი შვილი იალტაში ხილახლად ჩავსხედით „ჩრდილოეთ ვარსკვლავზედ“, რომელმაც წაგვიყვანა ჩვენ აზიის ნაპირისაკენ ქარი თანდათან ძლიერდებოდა და ღამის ქარიშხლად გარდაქცეულ იყო. საშინლად გვაქანებდა. 21 სექტემბერს, დილით, როგორც იქმნა, გელენჯიხს მივაღწიეთ. ციხიდგან და ველამინოვის ბანაკიდგან მისასალმებლად საიმპერატორო ფლაგისა იგრიალა ზარბაზნებმა; მით აუწყეს ჩვენი მოსვლა კავკასიის მთებს, რომელნიც პირველად ხედვიდენ რუსეთის მონარქს. ზღვა ისეთი აღელვებული იყო, რომ დიდის გაჭირვებით მოვახერხეთ ნავში ჩაჯდომა და ნაპირზედ გასვლა; ხოლო მეორე ნავი, რომელსაც მოჰყავდა ჩვენი ამალა, იძულებული შეიქმნა—ორთქლმავალ გემით უკანვე გაბრუნებულიყო [2].

„ჩვენ პირდაპირ გავსწიეთ ბანაკისაკენ, სადაც შეიარაღებული ჯარი გვიცდიდა. მაგრამ გრიგალი თანდათან ძლიერდებოდა და ისეთი ძალით მძვინვარებდა, რომ მხედრობა ფეხს ვერ იმაგრებდა და წამ-და-წამ ხან წინ და ხან უკან იხევდა; დროშები სამს და ოთხ კაცს ძლივს ეჭირა ხელში. თქვენც იცით, რა ღონიერი კაცი ვარ, მაგრამ ფეხზე ძლივს ვიდექი და განძრევა მიჭირდა. მაშასადამე, ცერემონიალ-მარშისათვის ვინღა იფიქრებდა; მიუხედავად ამისა, ჯარი მშვენივრად წარმომიდგინეს და მეც ძლიერ კმაყოფილი დავრჩი. ყველა ისინი ძველი მეომარნი იყვნენ და მათი ძველი მეომრობა იყო აღბეჭდილი მათსავე სახეზე, რომელიც გვარწმუნებდა რომ სავსებით შეიძლებოდა დანდობოდით. პირადად მე არასოდეს არც ერთ ჯარს არ მიუღივარ ასეთის აღტაცებით: სწორედ სტკბებოდენ თავის მეფის ხილვით. თითქმის ყველა სტიქიონი წინა-აღგვიდგა: წყალი ჩანთქმას გვიქადოდა, ბორიო საშინელ მძვინვარებით ჰქროდა; ამას დაემატა გელენჯიხში ცეცხლის გაჩენა.

„ველიამინოვმა მაშინვე ცხენი გააჭენა ცეცხლისაკენ და ჩვენც იმას გავყევით. ცეცხლი მოჰკიდებოდა პროვიანტის მაღაზიებს და იქიდან მოსდებოდა თივას, რომელიც რამოდენსამე მილიონ ფუთობით იქვე იდგა. ცეცხლის კვამლით სრულიად დაბურული იყო არტილერიის პარკი, რომელიც სავსე იყო წამლით და გატენილ ყუმბარებით. ჩვენ დავდიოდით ამ კვამლში, ხოლო სალდათები საკვირველის გულგრილობით ილაგებდნენ თავიანთ შინელებში სასროლ მასალას.

„მოგვშივდა, მაგრამ გრიგალმა დაგვიმტვრია სამზარეულო და სადილიც მიგვიფანტ-მოგვიფანტა. საღამოზედ განვიზრახე გემით დაბრუნება, მაგრამ ქარიშხალის გამო ეს სრულიად შეუძლებელი შეიქნა. ძალა-უნებურად უნდა დავრჩენილიყავით მშიერნი და დაგვეცადა გახრეკილ ცივ სახლში, სანამ ქარი ჩადგებოდა.

„მე წავედი „ლოშპიტლის“ დასახედავად და გენერალ შტეიბენის სანახავად, რომელიც მძიმედ დაიჭრა მთიულებთან ბრძოლის დროს. ვაი თუ დავკარგოთ ეს მამაცი ოფიცერი [3].

„ძლივს მეორე დღეს ნაშუადღევის ხუთ საათზედ მოვახერხეთ გადასვლა, გემზედ რომელიც აგრეთვე დიდ განსაცდელში ყოფილიყო. მე მოხარული ვიყავი, რომ ყოველივე ეს ნახა ჩემმა შვილმაც, რომლის ქცევით ამ შემთხვევაში ძლიერ კმაყოფილი დავრჩი.

„ღამის თერთმეტ საათზედ ჩაუშვით ღუზა ანაპის წინ და ოცდა ოთხ სექტემბერს შევედით ამ ციხეში, სადაც დავათვალიერე მეციხოვნე ჯარი და ქსენონი. ნაშუადღევის ორ საათზე უკვე კერჩში ვიყავით. ეს ქალაქი დიდად სარგებლობს კაბოტაჟის გემების მიმოსვლით და შესანიშნავად იზრდება. წყლის პირად ახალი გაყვანილი ქუჩა მშვენიერია. მუდმივმა სიძველეების ძებნამ ბევრი შესანიშნავი საგნები აღმოაჩინა; მუზეუმი თანდათან ივსება და რამდენიმე შესამჩნევი ნივთი პეტერბურგში იქნება გაგზავნილი, სხვათა შორის ერთ სამარხში ნანახი, მშვენივრად ნაკეთები ოქროს ნიღაბი, რომელიც ქალის სახეს წარმოადგენს.

„კერჩში სამს [4] გამოვეთხოვე. მან გასწია ალუპკას და შემდეგ უნდა დაესრულებინა თვისი მოგზაურობა რუსეთში, ხოლო მე „ჩრდილოეთ ვარსკვლავზე“ გავემართე რედუტკალესაკენ [5] და მივაღწიე 27 სექტემბერს. აქ დამხვდა მთავარ-მართებელი ბარონი როზენი [6].

„რამოდენისამე ვერსის მანძილზედ ამ საძაგელ, ჭაობებით გარშემორტყმულ და ხაშმიან დაბის წინ დამხვდა თავადი დადიანი [7], სამეგრელოს მთავარი დიდძალი ამალით. როგორც მისი, ისრე მის ამალის ჩაცმულობა სწორედ ახირებული იყო. გამოწყობილი იყო თავის ადგილობრივ ტანისამოსით და თავზე ჩვენი გენერლის შლიაპა ეხურა.

„ღამის გასათევად ჩვენ მივედით სოფელ ზუგდიდს, სადაც ჩემთვის დაემზადებიათ იმავე თავადის დადიანის სასახლეში დიდი დარბაზი, რომელიც ლამაზ ფარდულებით საწოლ ოთახად დ კაბინეტად გაეყოთ. ჩვენ მიგვიღო კნეინამ, მთავრის მეუღლემ, შესამჩნევად ახოვანმა და ტანადმა, რომლის ერთი შეხედვაც დაარწმუნებდა კაცს, რომ ის უნდა იყოს ნამდვილი გამგე და არა მისი შესახედავად ძაბუნი მეუღლე. კნეინამ ოსმალოსთან უკანასკნელ ომში ჩვენ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა და შესაძლებელი იყო უიმისოდ შერყეულიყო რუსეთისადმი ერთგულება მისის ქმრისა, რომელსაც ოსმალები თავის ნაირ-ნაირ დაპირებით სცდილობდნენ მიემხროთ, ხოლო ზოგიერთი იმის კარის კაცებიც ამ ნაირვე ვერაგულ რჩევას აძლევდნენ [8]. სამეგრელოს თავად-აზნაურობას ჩემთვის დაემზადებია საპატიო დარაჯი, რომელიც, როგორც ჩაცმულობით, აგრეთვე სილამაზით შესანიშნავი იყო. უნდა ვაღიაროთ, რომ ყველამ დამიმტკიცა დიდი ერთგულება და გულ-მოდგინება, რომელიც არ შეიძლება ცბიერი იყოს და დამხვდნენ გულ-კეთილ რუსულ „ურა“-თი.

ს. ღოღობერიძე.

(შემდეგი იქნება)

---

[1] იმპერატორი ყირიმიდგან წამობრძანებულა.

[2] იმპერატორ ნიკოლოზს გვერდზე მოუწერია: ,,c'es faurx'' (ეს შეცდომაა)

[3] იმპერატორ ნიკოლოზის შენიშვნა: ვგონებ, ეს შეცდომაა, მე ვნახე გენერალი შტეიბენი ანაპაში.

[4] დიდ მთავარს მემკვიდრეს, შემდეგ იმპერატორს ალექსანდრე განმათავისუფლებელს.

[5] ყულევი.

[6] ბარონი როზენი იყო მეცხრე მთავარ-მართებელი შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ის დანიშნეს პასკევიჩის მაგიერ და ექვსს წელს განაგებდა კავკასიის საქმეებს (Brosset, Hist. mod. გვ. 331).

[7] ეს იყო ლევან გრიგოლის-ძე დადიანი, მამა სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის დავითისა. ის 14 წლისა იყო, როცა მამა მისი გრიგოლი გარდაიცვალა, და ქალეშ-ბეგ შერვაშიძეს მძევლად წაყვანილი ჰყავდა. იმპერატორის ბრძანებით, თ. ციციანოვმა შემწეობა აღმოუჩინა და დაამყარა სამეგრელოს მთავრად (Brosset, Hist. mod. t. II. გვ. 279.) ბროსსე შეცდომით ასახელებს ლევანის მამად კაციას. კაცია იყო ლევანის პაპა და არა მამა.

[8] ის სტრიქონები, რომელსაც ხაზი აქვს გავლებული, იმპერატორმა ნიკოლოზმა წაშალა და მიაწერა: ,,c'est faux, c'est du roman'' (ეს არაკი არისო). აქ ნახსენები მთავრის მეუღლე იყო მარიამ წერეთლის ქალი, სახლთ-უხუცეს ზურაბის ასული და დავით მიტროპოლიტის და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებიდან მხოლოდ მთავრობის ორგანოთ უძღვნეს ამ დღესასწაულს სიმდაბლითა და პირმოთნეობით შებღალული წერილები. ამ წერილთა შინაარსის გადმოცემა არც-კი ჰღირს. თქვენ თითონ ადვილად მიჰხვდებით, რასაც დასწერდნენ ის კაცნი, ვისაც ალექსანდრე მეფე ქება-დიდებით ცამდის აჰყავთ და ამტკიცებენ,—სერბიის მზემ მაშინ გამოანათა, როცა მის ტახტზე ალექსანდრე ავიდა და თავის ხალხს ისე განაგებს, როგორც ქეიფი აძლევსო".

საზოგადოება ამ დღესასწაულს გულგრილად მიეგება. განა ჭკვათა-მყოფელთათვის სასიხარულოა ათის წლის შესრულების დღესასწაული იმ მეფობისა, რომელმაც გახრწნა სერბიის შინაური კეთილდღეობა და წყნარი ქვეყანა უწესოება-შემთხვევათა ასპარეზად გარდაქმნა? განა ამ დღესასწაულს შეეძლო სერბიელთა სულიერად აღდგენა? არა! ეს დღე ვერავის ათქმევინებდა იმ კაცის ქება დიდებას, რომლის პოლიტიკამაც სახელი გაუტეხა მთელს ქვეყანას და საზოგადო მოღვაწეთ, რომელმაც მოუსპო ხალხს ყოველი უფლება და მოქალაქობრივი თავისუფლება, შეაურაცხყო ეროვნული სიამაყე და ქვეშევრდომნი ცხვრის ფარას დაადარა.

მაშ, რაღა გაკეთდა ამ ათის წლის განმავლობაში ისეთი, რაიცა ღირს-აღსანიშნავი იყოს?

ნუ თუ ის, რომ ამ ათის წლის განმავლობაში ალექსანდრე მეფემ ოთხჯერ შეარყია სახელმწიფო წყობილებათა საფუძველნი? ის, რომ ოთხჯერ გასტეხა ფიცი?

ან იქნება ისა, რომ ჯარში უკმაყოფილება გამოიწვია, შემოიღო ოფიცერთა საზოგადოებაში მიდგომილობა-მიკერძოება და უკანონობა, პორუჩიკების წინაშე გენერლები აა კანკალა და დევნა დაუწყო უფროს მხედართა ყოველგვარ დამოუკიდებლობას?"

ნარკვევი

სატახტო ქალაქის გაზეთები უსამართლოდ ჰკიცხავენ ცნობილ მწერლის მ. გორკის დრამატიულ სურათებს „ფსკერზე"-ს, რომელიც ამას წინად პეტერბურგში წარმოადგინეს.

მ. გორკი ახალგაზრდა მწერალია. მან დიდი სიღარიბე გამოიარა, უბრალო მუშად იყო, სხვათა შორის, ტფილისის დეპოშიაც მსახურობდა ერთ დროს.

მ. გორკი კარგად იცნობს ქალაქის ცხოვრებისაგან გარიყულ „ბოსიაკების" ცხოვრებას, საწყალ ხალხს, რომელიც, სოფელს მოწყვეტილი, ქალაქის გაჩუვნელი ცხოვრების მსხვერპლი შეიქმნა; „ბოსიაკი" მაწანწალაა, ლოთი და დაუდგრომელი კაცი, რომელიც ქალაქებში და სოფლებში დაეხეტება და, თუ რამე იშოვა მუშაობით, უფრო-კი მათხოვრობით და ქურდობით—არაყში ხარჯავს, ლოთობს თავისს ამქრებთან.

„ბოსიაკი" ცხოვრებაში გზა და კვალ დაბნეული ადამიანია, სატუსაღოს ხშირი სტუმარი. ამ „ბოსიაკების" სხვა-და-სხვა გვარი ტიპები წარმოადგინა მ. გორკიმ თავისს მოთხრობებში.

მ. გორკი საშუალო ნიჭის მექონე მწერალია. მის ნაწერებში თქვენ ვერ გამოარკვევდით ავტორის იდეალს, მისს უმთავრეს სულიერს მისწრაფებას. თვით ავტორმა ერთს თავისს მოთხრობაში, „მკითხველში" გულახდილად გამოჰგვიმჟღავნა იდეალის უქონლობა. თავისი თავის შესახებ სჯის ამ მოთხრობაში იგი.

მ. გორკის ნაწერებში ჩვენ გვხიბლავს მისი სიმპატია, თანაგრძნობა ცხოვრებისაგან ჩაგრულთა მიმართ.

მ. გორკის დრამატიული სურათები „ფსკერზე" სასიხარულო მოვლენაა მწერლობაში, როგორც მწერლის განახლების მოციქული. ამ სურათებში მ. გორკიმ წარმოგვიდგინა ღამის თავშესაფარი ღარიბ-ღატაკთა და მაწანწალათათვის, ქვაბულის მსგავსი სარდაფი, სადაც თავ-მოყრილია ეს უბედური ხალხი. მათ ეწვია მოხუცი მგზავრი ლუკა, თითქო ცით მოვლენილი არსება ამ ბნელეთში გამოცხადებული.

ღამის თავ-შესაფარის მცხოვრებნი, ურწმუნო, გახხლებული, თავზედ ხელ-აღებული ხალხია, ლუკა-კი იდეალისტია, ღრმად მორწმუნე, სერიოზული, დაფიქრებული კაცი. ყოველი მისი სიტყვა თითქო ახალი აღთქმაა ამ ბნელ სარდაფში დამწყვდეულთათვის, თითქო მთელ თავისს სიცოცხლეში ამგვარი რამ არა გაეგონოთ-რა. რანაირი სიყვარულით ეკიდება ლუკა ამ თავშესაფარში დამწყვდეულს თვითეულ უბედურ არსებას!

კეთილი, ჰუმანიური გავლენა აქვს ადამიანზედ მისს სიტყვებს. მართალია, ავტორი გადაჭარბებით აფილოსოფოსებს მომქმედ პირთ, მაგრამ ჩვენ მაინც სიამოვნებით კითხულობთ ამ ფილოსოფიას, რადგან ამაში ავტორის პიროვნებაა გამომჟღავნებული, ჰუმანიური, ადამიანური იდეალის სხივით განათებული. ლუკა—თვით ავტორია, უბედურთათვის გზის მაჩვენებელი, მათი თანამგრძნობი, მათი შემბრალებელი.

ნარევი და ნაკვესი

პარიჟის საბუნებისმეტყველო და საისტორიო მუზეუმის შესანიშნავნი ქვემძრომნი.

საფრანგეთის ახალშენთა მოხელენი და კერძო კაცნი ხშირად უგზავნიან ხოლმე საჩუქრად პარიჟის საბუნების-მეტყველო და საისტორიო მუზეუმს შესანიშნავ ცხოველთა სხვა-და-სხვა კოლლექციებს.

ერთი ამისთანა კოლლექცია ქვემძრომთა მიუღია ზემოხსენებულ მუზეუმს ამას წინად გვიანადან; საყურადღებოა მეტადრე მათ შორის ლამაზი და ჭრელი ხვლიკი, რომელსაც „სალვატორი" (მხსნელი) ეწოდება. მხსნელს მიტომ ეძახიან, რომ ყოველთვის გესლიანის გველისა, ან ნიანგის მოახლოვებაზედ დაიწყებს ხოლმე სისინსა და მჭახე კივილს და ამით ყველა სულდგმულს აფრთხილებს მოსალოდნელ ხიფათისაგან.

სხვა ხვლიკებისაგან სალვატორი განირჩევა არაჩვეულებრივის სიდიადით. პარიჟში მოტანილი ეგზემპლარი სიგრძით ერთ ადლზედ მეტია.

ამ ჯიშის ხვლიკები კიდევ უფრო დიდებიც არიან,—ზოგს საჟენ-ნახევარი აქვს სიგრძე. ბუნების-მეტყველნი მათ შესახებ გასაოცარ ამბებს მოგვითხრობენ. როცა სალვატორს უნდა თაფლი იგემოს, მიეპარება სკას, შემოჰკრავს კუდს და, რომ ფუტკრებმა არ დაჰკბინონ, უცებ მოჰკურცხლავს ხოლმე; ამ ოინს მანამდე განაგრძობს, სანამ ფუტკრებს არ დააფრთხობს და არ გააფრენს, შეძვრება მერე სკაში და მადიანად შეექცევა თაფლსა.

სალვატორს, როგორც სხვა ხვლიკებსაც, სამხრეთ-ამერიკის მცხოვრებნი საჭმელად ხმარობენ.

სხვა ქვემძრომთა შორის შესანიშნავია თავისი სიგრძით ხუთ ადლ-ნახევრიანი გველი—ბოა (მახრჩობელა), ათას ფერად აჭრელებული და მეტად ლამაზი. ეს ბოა გველების მეფედ ითვლება, რადგან ყველაზედ დიდია; გარდა ამისა, სხვა გველებთან შედარებით, უწყინარიც არის; შხამი არა აქვს; ადამიანს არ ერჩის. დიდი მტერია თხუნელისა (მუდოსი) და, ზოგიერთ ალაგებში სასარგებლო ცხოველადაც ითვლება, შინიდგან ბევრ მავნებელ ცხოველსა სპობს. მეტად მსუნაგი და გაუმაძღარია: რაც უნდა მისცე ყველაფერსა ჰყლაპავს. ერთხელ ამ გველს გალიაში ხალიჩა დაუგეს, რომ არ შესცივნოდა, მაგრამ იმან ისევ თავის მუცლის ამოყორვა არჩია ამ ხალიჩით, ვიდრე ზედ წოლა. ასევე მოიქცა ბოა პარიჟის საბუნების—მეტყველო და საისტორიო მუზეუმშიაც: გადაჰყლაპა თურმე სიგრძით 8 და სიგანით ორ ადლიანი ხალიჩა, რომელიც მთელი ერთი თვე ჰქონდა კუჭში და, რადგან ვერ მოინელა, სცდილობდა უკანვე გადმოეგდო. ბოლოს გამოჩნდა კიდეც ერთი წვერი ხალიჩისა, დარაჯი მიეშველა და დიდის ვაი-ვაგლახით ხალიჩა პირიდგანვე ამოაცალა.

იმავე კოლლექციაში საყურადღებოა კიდევ შხამიანი გველი. „მუნჯი-ლაშარესად" წოდებული. ლეშარესს ძველ საბერძნეთის მითოლოგიაში ერთ-ერთ სიკვდილის დედა-ღმერთს უწოდებდნენ; და ეს გველიც ისეთივე ულმობელია, როგორც ძველ ბერძენთა დედა-ღმერთი. მისი კბენა მომაკვდინებელია. ორი საათის შემდეგ მისგან დაკბენილი უეჭველად სულს განუტევებს. იმავე ჯიშის ზარიანი გველისაგან (гремучая) გასარჩევად „მუნჯი გველი" ეწოდება, ზარიანს გველს კუდი იმნაირად აქვს მოწყობილი, რომ ცოცვის დროს შრიალი გააქვს, თითქო ყველას უნდა შეატყობინოს, მოვდივარ და თავს უშველეთო. ლაშარეს-კი ცოცვის დროს კუდს არა ხმაურობს და მით უფრო საშიშო.

უხნიერესი ხე დედა მიწაზედ.

კუნძულ ცეილონზედ მეფეების ძველ სატახტო ქალაქში—ანურადაპურაში ოცდა ორი საუკუნის ხე არის. ეს ხე დარგულია ორას ოთხმოცდა რვა წელს ქრისტეს შობის წინ, ასე რომ ახლა 2891 წლისაა. ეს ხე ბუდისტებს წმინდანედ მიაჩნიათ, და ამიტომ ყოველის მხრიდგან ბუდისტები მილიონობით მოდიან მის თაყვანის საცემლად. მისნი მორწმუნენი დიდის სასოებით ინახავენ ამ ხის ფოთლებს, როგორც წმიდათა-წმიდას. ხე შემოღობილია და შესავალს ბერები დარაჯობენ. ამ ჟამად ეს ხე თითქმის წამოქცეულია და რომ სრულიად არ წაიქცეს, მისი ღერი ქვითკირის კედლით არის შემოზღუდული, ტოტებს-კი ბოძები აქვთ მიცემული.

„ივერიის" ფოსტა

ს. ბ—ეთს. გ. ბ—ღს. თქვენი „სუმა ალაღბედაშვილი" არ დაიბეჭდება. სრულიად შეუმუშავებელი ამბავია. არ დაიბეჭდება აგრეთვე არც თქვენი „სურათი.

ჯავახეთის ავტორს. თქვენი „აღწერა ჯავახეთისა" არ დაიბეჭდება.

ქ—ნს. მ. ქ—მეს. თქვენი ნათარგმნი „დუელი" არ დაიბეჭდება.

ს. რკ—აზ. ე. გ. ლ—მეს. გამოგზავნეთ ბოლოც თქვენის წერილისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

17 აპრილი.

ბიზერტა. ლუბე დაბრუნდა საფრანგეთს.

ნიუ-იორკი. პატარა ქალაქი ფრანკი დაიმარხა 14 აპრილს დილის $4^{1}/_{2}$ საათზედ ცეცხლ-მფრქვეველმა მთის ტერტლის მიერ აღმოტევებულ მიწისა და ლოდების ნატეხებ ქვეშ. ზოგან სახლები არის ფუტის სიღრმეზეც ჩაფლული მიწაში. 83 სახლობა ჩანთქა მიწამ. გარემონი განადგურებულ იქმნა 20 მილის მანძილზედ. მთა კიდევ განაგრძობს ქვების აღმოტევებას. მდინარე გადმოვიდა ნაპირებად და ნაცარტუტა მიმდინარეობს შიგ.

სტამბოლი. მარშალი ობერ-რუედი მოვიდა პრიზრენს შაქირ-ფაშითურთ, ჯარების მოძრაობის სახელმძღვანელოდ.

როსტოვი დონისა. როდესაც ელექტრონის ტრამვაის ვაგონები გადადიოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის გადასავალ გზაზედ, მათ დაეჯახა მოსიარულე ორთქლ-მავალი. ტრამვაის ვაგონები დაიმტვრა, ხალხმა ბევრმა მოასწრო გადმოხტომა; სამი დაშავდა—ვლეხს სმოჩინს გაუტყდა ერთი ნეკნებთაგანი, ვახარი ველუჩენკოვი და მაღჩიკ მორკაჩევი ცოტათ დაშავდნენ. ეს შემთხვევა იმიტომ მოხდა რომ გადასავალი გზის ღობის კარი გაღებული იყო.

კამიშინოვი. სამაზრო საერობო კრებამ დაიწყო გაყიდვა გაუმჯობესებულის თესლეულისა.

რომი. ინგლისის მეფე ინახულა ვატიკანში პაპმა, რომელთაც 25 წამს ილაპარაკეს. ინგლისის მეფე გაემგზავრა პარიჟისაკენ. მეფემ ვიქტორ ემანუილმა გააცილა იგი სადგურამდე, სადაც ორივენი ერთმანეთ ტკბილათ გამოეთხოვნენ.

სტამბოლი. სალონიკში, როგორც ამბავი მოვიდა, ბოლგარებმა დინამიტით სცადეს ბოროტმოქმედება. ხმა ისმის, რომ შეიარაღებულ თავდასხმამდე მივიდა საქმეო. ამბობენ აგრეთვე, რომ ოსმალეთის ბანკის განყოფილება დაიწვა და ბევრნი დაიხოცნენ და დაიჭრნენო. ჰფიქრობენ, რომ ამ საქმის მომქმედთ უნდოდათ გამოეწვიათ ოსმალთა მხრივ ხალხის ჟლეტაო. —გავრცელებულია უფრო ის აზრი, რომ ხონთქარი ძალას არ მიჰმართავს ალბანელთა წინააღმდეგ, არამედ ირჩევს მშვიდობიან მორიგებასაო. სასახლეში მიღებულ იქმნა დეპეშები ალბანელ ტომთა სხვა-და-სხვა მეთაურისაგან სკუტარიდანა და დიბრიდან; დეპეშები აცხადებენ ხონთქრისადმი ერთგულებას და უარ ჰყოფენ ერთა მეამბოხე ალბანელებთანაო.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სპენსერმა იკითხა მანჯურიის საქმის ამბავი. ლანსდორმა უპასუხა, რომ მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს მაგ საქმეს, თუმცა ეჭვობს-კი, ნამდვილად ისეთია საქმის ვითარება, როგორც იცნობებიან თუ არაო.

იოკოგამი. რუსიამ ოფიციალურად გამოაცხადა ჯარის გამოყვანა შანკინგის პროვინციებიდგან.

პეტერბურგი. 17 აპრილს, დილის 10 საათზედ, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა, უავგუსტოესის შვილებით, დაბრუნდნენ ცარსკოე-სელოში. 17 აპრილსვე ცარსკოე-სელოში უდიდებულესობათა თანა დასწრებით მოხდა პარადი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ 1-ლი ლეიბ გვარდია მათ უდიდებულესობათა, მე-2-რე მსროლელთა ბატალიონი და დონის ყაზახთა მე-6-ე ბატარეია მათ უმაღლესობათა.

18 აპრილი.

პეტერბურგი. ხარკოვის ვიცე-გუბერნატორი გერბელი უმაღლესი ბძანებით დაინიშნა ხარკოვის გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებლად. ხელმწიფე იმპერატორმა გამოუცხადა უმაღლესი მადლობა მოსკოვს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს ბულიგინს, მოსკოვის გუბერნატორს კრისტის, მოსკოვის საგუბერნიო ჟანდარმთა გამგეობის უფროს შრამმს, მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერს ტრეპოვს, განკერძოებულ ჟანდარმთა კორპუსის უფროსებს, ადგილობრივ პოლიციას და პოლიციის გასაძლიერებლად დანიშნულ ყაზახთა რაზმებს.

ბერლინი. იმპერიის კანცლერმა დღეს დახურა რეიხსტაგის სხდომები.

სტამბოლი. ამბები პორტის უსკიუმის ვილაიეტში ალბანთა წინააღმდეგ გამოლაშქრის შესახებ ძრიელ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს შეტაკება თითქო არ ყოფილა. დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ შეტაკება არ იქნება, რადგან ბძანება გამოსცეს, შეძლებისადაგვარად სისხლის ღვრას მოერიდეთო. ამიავი, ოსმალები დიდ მზადებაში არიანო, გადაჭარბებულია. პორტა უფრო მხნედ და ვრცელის გეგმით აპირობს ჯუფთებია თავგასულობის ალაგმვას ვიდრე აქამდის შვრებოდა. ამისათვის ოლქები დაჰყვეს და თითო განყოფილება დამოუკიდებელ უფროს დაუქვემდებარეს.

ლონდონი. მანჯურიის საკითხის შესახებ დაეკითხნენ კრანბორნს და მან უპასუხა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება სწარმოებსო. სანდო წყაროებიდან დამტკიცდა მთავრობისაგან მიღებული ამბავი რუსეთის მთავრობას გამოეცხადა, რომ მან არაფერი იცის მომხდარი შეთანხმების შესახებ. მთავრობა უარჰყოფს ყოველ განზრახვას მანჯურიაში განსაკუთრებულ უპირატესობათა მოსაპოვებლად და სურს ამ ქვეყნის შესახებ დაპირებული აასრულოს.

სტამბოლი. გუშინ ფლორენცის ოლქში, ლესკოვიცთან შეტაკება მოხდა. თურქების მხრივ დაიჭრა ორი ჯუფთების მხრივ სამი, რუსეთის და ავსტრიის კონსულებმა პრიზრენში მიჰმართეს ადგილობრივ ვალის. რომ იმ იტეკელ ქრისტიანებთ, რომელთაც განსაცდელი მოელით შემწეობა აღმოუჩინოს. როგორც ისმის პრიზრენის და კალკანდელენის ალბანელებს ზოგიერთა ცვლილებით რეფორმები მიუღიათ. გარეშე საქმეთა მინისტრმა გუშინ ზინოვიევი ავსტრია-უნგრეთის ელჩი დაარწმუნა იმის შესახებ რომ იუსკუბელივი ლაიეტელებისა და ალბანელთ მოქმედების საწინააღმდეგოთ მიღებულ სხვა-და-სხვა საშუალებათ კარგი შედეგი მოჰყვებაო.

სოფია. აქ მოვიდა სალონიკიდგან დეპეშა რომ ბოლგარელმა მეამბოხეებმა ოტომანის ბანკი ააფეთქესო. დაწვრილებით ამბავი ამის შესახებ ჯერ არ არის შეტყობილი. რათა ოსმალოების სამაგიეროთ გადაუხადონ იმისთვის, რომ ესენი მათ სახლებს უჩხრეკავენ და ძალმომრეობას აყენებენ ჩუმმა მაკედონიისამ სარევოლიუციო ორგანიზაციამ გადასწყვიტა შურისძიება ოსმალებისა და მათ დაწესებულებების; ეს თავის გადაწყვეტილება ყოველ ჯუფთთ, მაკედონიის მოღვაწეთ და სტამბოლის, სოლონიკის და ბიტალიის მთავრობას შეატყობინეს.

პეტერბურგის ბირჟა, 15 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,72^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98^{1}/_{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{3}/_{8}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$439^{1}/_{2}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$300^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$90^{3}/_{8}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9875 გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4225 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	409 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

19 აპრილისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. პალტონ დადიანიძის, ლევან აფაქიძისა და ბურდღუიასა და ქვადისალა თადარადავოვების დავა.
2. თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა და თ. გიორგი ამილახვრის დავა.
3 შანახ ლაქერბაიას და გრიგოლ თიბიძის დავა.
4. ჯღვანატა ლაღულიასა და მოსე თაბანუხოვის დავა.
5. ეპიფანე ცაგარლისა და ალექსანდრე ჩარგიჯანის დავა.
6. დავით და სხ. ამირაჯიბთა და ვასილ და ივანე მაჩაბელთა საქმე.
7. თეკლე იაკოვლევისა და მალაქია ჩოხონოლიძის დავა.
8. ნიკოლოზ მარიშევისა და დავით აბულაძის დავა.
9. იოსებ კასრაძისა და ნიკოლოზ ჯიოშვილის დავა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.
ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლდე-ქვეურული

სოფელ დიმში. მიიღებიან ბიჭები პრაქტიკულ სამუშაოზე ვაზის სანერგესა და ღვინის დაყენების შესასწავლად. ადრესი: В. И. Тьеоо, Кутаисъ. (3—100—1)

ისყიდება სურამში
იუნკერთა სასწავლებლის მახლობლად
საუკეთესო სააგარაკო
ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსოსაჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის" რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—20)

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად
კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.